



No 1/1/26

02.05 20 22

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„შპს „ევროპული სკოლაში“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის N1/1/96 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე


შპს „ევროპული სკოლის“ წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილი იქნას ცვლილებები შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის N1/1/96 ბრძანებით დამტკიცებული „შპს „ევროპული სკოლაში“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ N1 დანართსა (მოსწავლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის/ინფორმირების დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის თაობაზე) და N2 დანართში (პერსონალის თანხმობის/ინფორმირების დასტური პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის თაობაზე).
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის 2021 წლის 06 დეკემბრის N1/1/96 ბრძანებით დამტკიცებული „შპს „ევროპული სკოლაში“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებაზე თანდართული რედაქციით, ქართულ და ინგლისურ ენებზე.
3. წინამდებარე ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს შპს „ევროპული სკოლის“ დირექტორის თანაშემწეს.
4. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ს. გიხი

სოფიო ბაზაძე
სკოლის დირექტორი
შპს „ევროპული სკოლა“






European School LLC

შპს ევროპული სკოლა


პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა



გადახედვის სიხშირე: ყოველწლიური
დოკუმენტი მოამზადა: იურიდიულმა სამსახურმა
დოკუმენტის შემუშავების თარიღი: 2019, ოქტომბერი
ბოლო განახლების თარიღი: 2022, მაისი
დოკუმენტი განახლებულია: იურიდიული სამსახურის მიერ

ს. ზედაძე

სოფიო ბაზაძე
დირექტორი



21, Skhirtladze Str., Tbilisi, 0177, Georgia
Tel: (032) 239 59 64,
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge

პრეამბულა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომში წოდებული „პოლიტიკა“) განსაზღვრავს შპს „ევროპული სკოლის“ (შემდგომში წოდებული „სკოლა“) მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია სკოლის საზოგადოების პერსონალური მონაცემების დამუშავების უზრუნველყოფა კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მათი დაცვა უკანონო და უნებართვო გამოყენებისა და შემთხვევითი დაკარგვისა და დაზიანებისგან.

სკოლის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს წინამდებარე პოლიტიკისა და მასში შესატანი/შეტანილი ცვლილებების წარდგენას სკოლის საზოგადოებისათვის, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების განხილვას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას სკოლის პერსონალთან.

პოლიტიკა მოიცავს სკოლის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების და სკოლაში ან სკოლის ელექტრონულ მოწყობილობაზე შენახულ პერსონალურ მონაცემებზე ნებისმიერი პირის (სკოლის მოსწავლე, მოსწავლის/აღსაზრდელის კანონიერი წარმომადგენელი, სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირი (სკოლის პერსონალი)) მიერ წვდომის საკითხებს. სკოლის პერსონალს, მოსწავლეს, მოსწავლეთა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს და სკოლის კონტრაქტორებს მოეთხოვებათ წინამდებარე პოლიტიკის დაცვა. პოლიტიკით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა განაპირობებს სკოლის ხელმძღვანელობის მხრიდან პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მუხლი 1. ფარგლები

წინამდებარე პოლიტიკა ეხება სკოლის პერსონალის, მოსწავლეების, აღსაზრდელების, სკოლის მოსწავლეთა/აღსაზრდელთა, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და ევროპულ სკოლასთან დაკავშირებული სხვა ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებას ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **მონაცემთა სუბიექტი** - ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომლის შესახებ პერსონალური მონაცემები მუშავდება ევროპულ სკოლაში.

ბ) **პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

გ) **განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები** - მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში

გაწევრებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან, აგრეთვე ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა;

დ) **მონაცემთა დამუშავება** ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.

ე) **მონაცემთა ნახევრად ავტომატური დამუშავება** - მონაცემთა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და არაავტომატური საშუალებებით დამუშავება;

ვ) **თანხმობა** - მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.

ზ) **მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა** - მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით

თ) **მონაცემთა დამუშავებელი** - სკოლა, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებს და საშუალებებს და ამუშავებს მონაცემებს უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

ი) **უფლებამოსილი პირი** - სკოლის თანამშრომელი, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს სკოლისთვის ან სკოლის სახელით.

კ) **მესამე მხარე** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, საჯარო დაწესებულება, გარდა მონაცემთა სუბიექტისა, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა, მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირისა.

ლ) **სახელმწიფო ინსპექტორი** - „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თანამდებობის პირი, რომელიც პასუხისმგებელია მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობაზე;

მ) **მონაცემთა დეპერსონალიზაცია** - მონაცემთა იმგვარი მოდიფიკაცია, რომ შეუძლებელი იყოს მათი დაკავშირება მონაცემთა სუბიექტთან ან ასეთი კავშირის დადგენა არაპროპორციულად დიდ ძალისხმევას, ხარჯებსა და დროს საჭიროებდეს.

ნ) **პირდაპირი მარკეტინგი** - ფოსტის, სატელეფონო ზარების, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზება;

ო) **ონლაინ სწავლება/სწავლების პროცესი** - ზოგადი განათლების მისაღებად და/ან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის / საგნობრივი ჯგუფის დასაძლევად განათლების მიღების ტრადიციული ფორმის სახეცვლილება, რომელიც გულისხმობს და მოიცავს ელექტრონული პლატფორმის საშუალებით განათლების მიღების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლას, რაც შესაბამისი პლატფორმების გამოყენებით სკოლას აძლევს საშუალებას წარმართოს საგაკვეთილო პროცესი, ხოლო მოსწავლეს - სასწავლო გეგმის შესაბამისად

ხარისხიანი, დროული და ეფექტური გზით მიიღოს ცოდნა და სრულად ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.

პ) ფაილური სისტემა - მონაცემთა სტრუქტურით დაწყებული წყება, რომელშიც ისინი დალაგებული და ხელმისაწვდომია კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით;

ჟ) ფაილური სისტემის კატალოგი - ფაილური სისტემის სტრუქტურისა და შინაარსის დეტალური აღწერილობა

რ) ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრი - რეესტრი, რომელიც უზრუნველყოფს არსებული ფაილური სისტემების დეტალურ აღრიცხვას.

მუხლი 3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპები და საფუძვლები

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას დაცული უნდა იყოს მონაცემთა დამუშავების შემდეგი პრინციპები და უნდა არსებობდეს მონაცემთა დამუშავების საფუძვლები:

1. პირველი პრინციპი: პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ღირსების შეუღალაზავად.

1.1. სკოლაში მოქმედი სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია/უნდა განისაზღვროს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი და თითოეული დამუშავების მიზანი, დამუშავებული პერსონალური მონაცემების ტიპები, დამუშავების იურიდიული საფუძველი .

პერსონალური მონაცემების დამუშავების იურიდიული საფუძველი შესაძლოა წარმოიქმნას შემდეგიდან:

- მონაცემთა სუბიექტი ნებაყოფლობით გამოხატავს თანხმობას ერთი ან მეტი კონკრეტული მიზნით პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

- პერსონალური მონაცემების დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტთან ხელშეკრულების გაფორმების (და/ან შესრულების) და მისი განცხადების განხილვის (მისთვის მომსახურების გაწევის) მიზნით, კერძოდ, პერსონალის საქმიანობის მონიტორინგის თვალსაზრისით, წლიური შეფასებების, პერსონალთან ან სკოლის მოსწავლეებთან ხელშეკრულების გაფორმების მიზნით და სხვა.

- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით.

- მონაცემთა დამუშავება საჭიროა სკოლის მიერ მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად (რათა სკოლამ შეძლოს შესასრულოს თავისი კანონიერი ვალდებულებები).

- პერსონალური მონაცემების დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის სასიცოცხლო ინტერესების (სიცოცხლე ან ჯანმრთელობა) დასაცავად (მაგალითად გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გასაწევად და სხვა).

- პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;

- პერსონალური მონაცემების დამუშავება აუცილებელია სკოლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი (მაგ.: არსებობს სკოლის ლეგიტიმური ინტერესები, შესაბამისად არ არსებობს ინტერესი მონაცემთა სუბიექტის მიმართ, რომელსაც უპირატესობა ენიჭება სკოლის ლეგიტიმურ ინტერესებზე).

- კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა.

1.2. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება ნებადართულია მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით ან შემდეგ შემთხვევებში:

ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს;

გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ევროპული სკოლის მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის;

დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;

ე) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სახელმძღვანელო

უფლებამოსილმა პირმა ზუსტი და ამომწურავი ფორმით უნდა განუმარტოს მონაცემთა სუბიექტს პერსონალური მონაცემების დამუშავების იურიდიული საფუძველი, დამუშავების მიზანი და მიაწოდოს სრული ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ. თანხმობა ნიშნავს მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატულ ნებას.

უფლებამოსილი პირი, რომელიც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, ვალდებულია შეამოწმოს, რომ მონაცემთა სუბიექტი თანახმაა თავისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. ასევე მონაცემთა სუბიექტი ინფორმირებული უნდა იყოს, რომ უფლება აქვს უარი განაცხადოს თანხმობაზე და უფლება აქვს ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს მონაცემთა დამუშავებაზე მის მიერვე მიცემულ თანხმობაზე.

წინამდებარე პოლიტიკას თან ერთვის მოსწავლეთა (დანართი 1) და ევროპული სკოლის პერსონალის (დანართი 2) თანხმობის ფორმები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

არასრულწლოვნებს აქვთ პერსონალური მონაცემების დაცვის ექსკლუზიური უფლება, რადგან მათთვის შესაძლოა არ იყოს ცნობილი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული რისკები, შედეგები, დაცვის ზომები და უფლებები. არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ მათი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა იყოს გამჭვირვალე მონაცემთა სუბიექტისთვის. პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და კომუნიკაცია ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა იყოს მონაცემთა სუბიექტისთვის და გადმოცემული უნდა იყოს მკაფიო და გასაგები / მარტივი ენით. მონაცემთა სუბიექტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების წესების, რისკების, დაცვის

ზომების და უფლებების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი პერსონალურ მონაცემებს გადასცემს სკოლის უფლებამოსილ პირს, უნდა მიეთითოს მონაცემთა მიღების თარიღი. იმ შემთხვევაში, თუ სკოლამ მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად მოიპოვა პერსონალური მონაცემები, მაშინ მონაცემები შენახული უნდა იყოს გონივრული ვადით.

სკოლის მიღებისა და ჩარიცხვის სამსახურმა უნდა მოითხოვოს მხოლოდ ინფორმაცია (დოკუმენტები), რომელიც მოიცავს მოსწავლისა და მისი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პერსონალურ მონაცემებს და რომლებიც აუცილებელია სკოლის ფუნქციების შესასრულებლად.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია (დოკუმენტები), რომელიც მოიცავს ევროპული სკოლის პერსონალის/კანდიდატის პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად ევროპულ სკოლასა და თანამშრომელს შორის ან/და შრომითი ურთიერთობის ფარგლებში.

2. მეორე პრინციპი: შეზღუდვა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე - მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით ("მიზნის შეზღუდვა")

მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის; პერსონალური მონაცემების დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს მათი დამუშავების მიზნებს და შემოიფარგლოს აღნიშნული მიზნების მიღწევის საჭიროებით.

სახელმძღვანელო

დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნებისთვის; იმის განსაზღვრისთვის შეესაბამება თუ არა შემდგომი დამუშავება პერსონალური მონაცემების შეგროვების თავდაპირველ მიზანს, მონაცემთა დამუშავებელმა, ყველა თავდაპირველი დამუშავების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- უნდა განისაზღვროს ურთიერთკავშირი თავდაპირველად მოპოვებულ პერსონალურ მონაცემებსა და მონაცემთა შემდგომი დამუშავების მიზანს შორის, განსაკუთრებით თუ ეს ეხება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს;

- უნდა შეფასდეს პერსონალური მონაცემების თავდაპირველი მოპოვების კონტექსტი და მიღებულ იქნას გონივრული გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით მისცემდა თუ არა მონაცემთა სუბიექტი თანხმობას მონაცემთა შემდგომ დამუშავებაზე.

- უნდა შეფასდეს პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავების შედეგები მონაცემთა სუბიექტისთვის.

- სათანადო დაცვის ზომების ხელმისაწვდომობა თავდაპირველ და შემდგომ დამუშავების ოპერაციებს შორის.

3. მესამე პრინციპი: მონაცემების დამუშავება უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და რელევანტური და მონაცემები უნდა დამუშავდეს იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია იმ კანონიერი მიზნის მისაღწევად, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი. ("მონაცემთა დამუშავების მინიმუმამდე შემცირება")

მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი;

სახელმძღვანელო

პერსონალური მონაცემების დამუშავების მოცულობა გულისხმობს მონაცემთა დამუშავებას მხოლოდ კანონიერი მიზნის მისაღწევად. დაუშვებელია მიზნის შეუსაბამო მონაცემთა დამუშავება.

4. მეოთხე პრინციპი: მონაცემთა უტყუარობა და სიზუსტე ("სიზუსტე")

მონაცემები უნდა იყოს უტყუარი და ზუსტი და საჭიროების შემთხვევაში, უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს;

სახელმძღვანელო

უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ მონაცემები იყოს ახალი და სრული, რადგან არასრულმა და მოძველებულმა ინფორმაციამ შესაძლოა გამოიწვიოს არასწორი მონაცემთა დამუშავება. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს მონაცემთა სიბიექტის ინფორმირება იმის შესახებ, რომ არასრულად დამუშავებული მონაცემები დაკორექტირდა.

5. მეხუთე პრინციპი: მონაცემთა შენახვის ვადა

მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით და მოცულობით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სახელმძღვანელო

უფლებამოსილმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა აცნობოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა შენახვის ვადა. იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მონაცემთა შენახვის ვადას, მაშინ შენახვის ვადა უნდა იყოს მინიმალური და განისაზღვროს თავად მონაცემთა დამუშავებლის მიერ. პერსონალური მონაცემების ხანგრძლივი პერიოდით უნებართვო შენახვის პრევენციის მიზნით, უფლებამოსილმა პირმა უნდა განსაზღვროს საბოლოო ვადა, რომლის შემდეგ მონაცემები დაიბლოკება, წაიშლება ან განადგურდება ან შენახული იქნება პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

6. მეექვსე პრინციპი: მონაცემთა უსაფრთხოება და კონფიდენციალობა

მონაცემთა დამუშავება უნდა განხორციელდეს იმ ფორმით, რომ დაცული იყოს მონაცემთა უსაფრთხოება უნებართვო და უკანონო გამოყენებისგან.

სახელმძღვანელო

მონაცემთა უსაფრთხოება გულისხმობს იმ ქსელის ან საინფორმაციო სისტემის უნარს წინააღმდეგობა გაუწიოს ავარიულ შემთხვევებს, უკანონო და საზიანო ქმედებებს, რომელიც საფრთხეს უქმნის გადაცემული ან დაარქივებული მონაცემების წვდომას, ავთენტურობას, მთლიანობას ან კონფიდენციალობას.

- უფლებამოსილი პირი ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.
- მონაცემთა უსაფრთხოებისათვის მიღებული ზომები მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკების ადეკვატური უნდა იყოს.
- უფლებამოსილი პირი და ევროპული სკოლის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

7. მეშვიდე პრინციპი: ანგარიშვალდებულება

სკოლა და მონაცემთა დამუშავების უფლებამოსილების მქონე პირი პასუხისმგებელი არიან უზრუნველყოფნა, რომ სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

სახელმძღვანელო

- პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლებამოსილების მქონე პირების პასუხისმგებლობები და ფუნქციები უნდა განისაზღვროს სკოლის დირექტორის ბრძანების, ხელშეკრულების ან სხვა სამართლებრივი დოკუმენტის საფუძველზე.
- სკოლის მასწავლებლებმა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა და სკოლის თითოეულმა თანამშრომელმა უნდა გაიაროს შესაბამისი ტრენინგი პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების გაგების და შესრულების მიზნით.
- სკოლის სამართლებრივი აქტით განისაზღვება სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც გააკონტროლებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებას;

მუხლი 4. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები

განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება დაკავშირებულია მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტალური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის მაღალ რისკთან. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები უნდა დამუშავდეს მონაცემთა სუბიექტის თანხმობით, როდესაც:

ა) ნასამართლობასთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება აუცილებელია შრომითი ვალდებულებების და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად;

ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არა აქვს, მონაცემთა დამუშავებაზე თანხმობა განაცხადოს.

გ) მონაცემები მუშავდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის ან დაწესებულების (მუშაკის) მიერ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე თუ ეს აუცილებელია ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მართვისათვის ან ფუნქციონირებისათვის; დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;

დ) მონაცემთა სუბიექტმა საჯარო გახადა მის შესახებ მონაცემები მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე;

ე) მონაცემები მუშავდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების რეალიზების მიზნით.

ვ) მონაცემები მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სხვა მიზნით.

ამ მუხლის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შემთხვევაში დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება.

მუხლი 5. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

მონაცემთა სუბიექტს მისი მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით გააჩნია შემდეგი უფლებები:

ა) სკოლისგან მიიღოს მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- მონაცემები სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ.
- მონაცემთა დამუშავების მიზანი და სამართლებრივი საფუძველი.
- სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;

- მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

- ინფორმაცია მონაცემების მესამე მხარეებისთვის გადაცემის შესახებ.
- დამუშავებული მონაცემების შემდგომი გამოყენების შესახებ დამატებითი ინფორმაცია;
- განმარტება მონაცემთა დამუშავების მოცულობის შესახებ;

ბ) უარი განაცხადოს მის მიერვე მონაცემთა დამუშავებაზე მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა განადგურება;

გ) მოითხოვოს არაზუსტი ან არასრული მონაცემების განახლება და შესწორება;

დ) მოითხოვოს მონაცემთა წაშლა ან განადგურება. ეს უფლება არ არის შეუზღუდავი და აღსრულდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

ე) საჩივრით/განცხადებით მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორს ან სასამართლოს. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, საქმის განმხილველ ორგანოს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ვ) მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა. ეს უფლება არ არის შეუზღუდავი და აღსრულებდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 6. ონლაინ სწავლება/სწავლის და სამუშაო პროცესი

ონლაინ სწავლების /სწავლის პროცესის, ასევე დისტანციური შეხვედრების ფოტოსურათები და/ან ვიდეოები, წარმოადგენს ფიზიკური პირის პერსონალურ ინფორმაციას. ზემოაღნიშნული პროცესების განმავლობაში დაუმშვებელია ფოტოების და/ან ვიდეოების გადაღება და აღნიშნული მასალების გავრცელება (მათ შორის იუმორისტული მიზნებით), მათ შორის და არა მხოლოდ სოციალური ქსელებით. ამ რეგულაციის მიზანია ფიზიკური პირების დაცვა ბულინგისგან და/ან მონაცემთა არასასურველი და არაკანონიერი გავრცელებისგან.

მუხლი 7. ფოტოგრაფია და ციფრული გამოსახულებები და მათი გამოქვეყნება

ფოტოგრაფია და სკოლის აქტივობების ჩაწერის ციფრული მოწყობილობების გამოყენება სკოლის საზოგადოების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. სკოლის პროცესებში მონაწილეებისას სკოლასთან დაკავშირებულ ყველა სუბიექტს შეუძლია ჰქონდეს ფოტო (ანალოგური / ციფრული) და ფირზე (ანალოგური / ციფრული) გადაღების მოწყობილობები. აღნიშნულ ფორმატებში პერსონალური მონაცემების გამოყენების მიზანია სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაცია.

შემთხვევები, როდესაც დაშვებულია ფოტოსურათების ან ფირის გამოყენება:

- აქტივობების პროცესში მონაწილე თანამშრომლების სურათის გადაღება;
- სურათების პრეზენტაცია სასწავლო მასალებში ან გამოქვეყნება ციფრული ან ანალოგური ფორმით შიდა ციფრული ტაბლოთი ან შეტყობინების / საპრეზენტაციო დაფებზე;
- სკოლის პერსონალის შემოწმება;
- სკოლის ღონისძიებების, როგორცაა ტრენინგი, რეკრუტირება, ღია დღეები და სიმპოზიუმები და სხვა, ფოტო-ვიდეო-აუდიოგადაღება;
- სკოლის მიღწევების და საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩაწერა ციფრული საშუალებებით (ფოტო-ვიდეო-აუდიოგადაღება), რომელიც ინახება სკოლის ვებ-გვერდზე და სხვა სოციალურ მედიაში (Facebook, Instagram, Twitter, და სხვა.).
- სკოლის მიერ ორგანიზებული/ჩატარებული ნებისმიერი აქტივობის/ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული ფოტო/ვიდეო/აუდიოგადაღება.

მონაცემთა სუბიექტმა უნდა ჩათვალოს, რომ სკოლის მიერ ორგანიზებული/ჩატარებული ნებისმიერი ღონისძიება მოიცავს ციფრული გამოსახულებების ჩაწერას/ფოტო/ვიდეო/აუდიოგადაღებას.

სკოლის პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შესახებ და აღნიშნული პოლიტიკით გათვალისწინებული ბავშვების ციფრული ფოტოების გადაღების წესების შესახებ.

ბავშვთა ციფრული გამოსახულებები, რომლებიც ასახავს ბავშვთა აკადემიურ მოსწრებას, სპორტულ მიღწევებს და მიღწევებს ხელოვნებაში და მსგავს ღონისძიებებს, განსაზღვრულია სკოლის ბავშვთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 8. სოციალური მედია

სოციალური მედია (Facebook, Instagram, WhatsApp, LinkedIn, Dropbox და სხვა.) შეიძლება გამოყენებული იქნას სკოლის პერსონალის მიერ სკოლის აქტივობებთან დაკავშირებით. პერსონალური სოციალური ქსელის ჩანაწერები არ შეიძლება გამოყენებული იქნას სკოლის ღონისძიებებისთვის.

სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი პასუხისმგებელია სკოლის სოციალური ქსელის მართვასა და მისი საშუალებით კომუნიკაციაზე. სკოლის ოსცისლურ ქსელში განთავსებული ჩანაწერების გამოყენება შესაძლებელია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერის წინასწარი თანხმობით. ასეთი ნებართვის შემთხვევაში უნდა შესრულდეს სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა.

მუხლი 9. ვიდეოთვალთვალი ევროპული სკოლის შენობაში

ევროპული სკოლის შენობაში (ასევე შენობის გარე პერიმეტრზე, შესასვლელებში, დერეფნებში და სამუშაო ოთახებში), ეზოში და სათამაშო მეოდნებზე ვიდეოთვალთვალი ხორციელდება სკოლის თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და სკოლის საკუთრების დაცვის, სკოლის მოსწავლეთა/აღსაზრდელთა უსაფრთხოების და მათი მავნე ზეგავლენისგან დაცვის, ასევე გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის.

სავალდებულოა ვიდეოთვალთვალის ლოკაციაზე განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი. ამ შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად ითვლება.

ვიდეოთვალთვალის განხორციელება დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

სკოლის ტექნიკური მხარდაჭერის ცენტრი ვალდებულია შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა. ჩანაწერების (სურათები/ხმა) გარდა, სისტემა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ. ამ წესით მოპოვებული მონაცემების შენახვის ვადა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ასეთის არარსებობისას სკოლის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. პერსონალური მონაცემების გაზიარება

იურიდიული საფუძველის გარეშე დაუშვებელია სკოლის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების გაზიარება მესამე მხარეებისთვის. ნებისმიერ მესამე პირს, სკოლის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემი შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით და ამ დოკუმენტით გათალისწინებული საფუძველის არსებობისას.

მონაცემების გადაცემის შესახებ მოთხოვნის შემთხვევაში, უფლებამოსილმა პირმა უნდა შეამოწმოს მოთხოვნის კანონიერება.

მუხლი 11. მონაცემთა დამუშავება პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისთვის

პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება დამუშავდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მოპოვებული მონაცემები.

მონაცემთა შეგროვების მიზნის მიუხედავად, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება დამუშავდეს შემდეგი მონაცემები: სახელი (სახელები), მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი.

მონაცემთა სუბიექტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება ნებისმიერი მონაცემი დამუშავდეს.

მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს ნებისმიერ დროს მოთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა.

მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია შეწყვიტოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავება ან/და უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებისას მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა და უზრუნველყოს, რომ მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს შესაძლებლობა მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგული მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ან/და განსაზღვროს ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნისთვის.

მუხლი 12. შეტყობინება პერსონალურ მონაცემთა დარღვევის შესახებ

წინამდებარე პოლიტიკის და პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, მონაცემთა დარღვევის შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს ზომები პერსონალური მონაცემების დაცვის დარღვევის მართვის მიზნებისთვის.

სკოლის ყველა თანამშრომელი, კონტრაქტორი და ყველა ის პირი, რომელიც სკოლისთვის ან სკოლის სახელით ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, ვალდებულია მონაცემთა დარღვევის თარიღი და დრო და ამ ინციდენტის დეტალები აცნობოს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს და სკოლის დირექტორს წინამდებარე დოკუმენტის N3 დანართის შევსების და წარდგენის გზით.

მუხლი 13. ევროპული სკოლის ვალდებულებები

მონაცემთა გამჟღავნებისას მონაცემთა დამმუშავებელი და უფლებამოსილი პირი ვალდებული არიან, უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის რეგისტრაცია: რომელი მონაცემი იქნა გამჟღავნებული, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძველით. ეს ინფორმაცია უნდა ინახებოდეს მონაცემთა სუბიექტის შესახებ მონაცემებთან ერთად მათი შენახვის ვადის განმავლობაში .

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სკოლა ვალდებულია თითოეულ ფაილურ სისტემასთან დაკავშირებით აწარმოოს ფაილური სისტემის კატალოგი და აღრიცხოს შემდეგი ინფორმაცია:

- ა) ფაილური სისტემის სახელწოდება;
- ბ) მონაცემთა დამმუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- გ) მონაცემთა სუბიექტის კატეგორია;
- დ) მონაცემთა კატეგორია ფაილურ სისტემაში;
- ე) მონაცემთა დამმუშავების მიზანი;
- ვ) მონაცემთა შენახვის ვადა;
- ზ) მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის ფაქტი და საფუძველები;
- თ) ფაილურ სისტემაში განთავსებულ მონაცემთა მიმღები და მათი კატეგორიები;
- ი) ინფორმაცია მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემის შესახებ და ასეთი გადაცემის სამართლებრივი საფუძველი;
- კ) მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისათვის დადგენილი პროცედურის ზოგადი აღწერილობა.

სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის სისტემატური განახლება.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებები

ცვლილებები და დამატებები წინამდებარე პოლიტიკაში შეიძლება განხორციელდეს ევროპული სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

თანხმობის/ინფორმირების დასტური
პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით გამოვხატავ თანხმობას, შპს "ევროპულმა სკოლამ" (შემდგომში - სკოლა), კანონმდებლობისა და სკოლის რეგულაციების შესაბამისად, დაამუშაოს ჩემი და ჩემ მიერ წარმოდგენილი პირის პერსონალური მონაცემები, კერძოდ: ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სქესი, ასაკი, ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო მისამართი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები და ჩემ მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მითითებული/ჩემ მიერ გაცემული სხვა პერსონალური მონაცემები.

ასევე გამოვხატავ თანხმობას სკოლამ, შემდგომი დამუშავების მიზნით, ნებისმიერი საჯარო და კერძო დაწესებულებიდან, ფიზიკური პირებისგან გამოითხოვოს ჩემი და ჩემ მიერ წარმოდგენილი პირის პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომელთა დამუშავება აუცილებელია სკოლის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების/სკოლის ფუნქციების შესასრულებლად.

სკოლას ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავება შეუძლია შეუზღუდავად, მასთან სახელშეკრულებო და სხვა ფორმით ურთიერთობის არსებობის პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის განხილვის/გადაწყვეტის მიზნით.

განსაკუთრებული მითითებები:

1. ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალის მოპოვება

სკოლა გეგმავს ფართო აუდიტორიის ინფორმირებას სკოლის ღონისძიებების შესახებ, მათ შორის სკოლის ექსკურსიების, მოგზაურობების, (სპორტული) შეჯიბრებების, საგანმანათლებლო პროექტების, ღია კარის დღეების და სხვა ღონისძიებების ფარგლებში მოპოვებული ტექსტობრივი/ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალის და პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებას ფართო საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაზიარების მიზნით,

თუ თქვენ თანახმა ხართ მოხდეს დოკუმენტში მითითებული პირის ფოტო/ვიდეო/აუდიო გადაღება სასწავლო პროცესისა და სკოლის სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში, *გთხოვთ მონიშნეთ გრაფა:*

წინააღმდეგ შემთხვევაში, *გთხოვთ მონიშნეთ გრაფა:*

2. პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება

თუ თქვენ თანახმა ხართ გამოქვეყნდეს დოკუმენტში მითითებული პირის ქვემოთმოცემული პერსონალური მონაცემები შემდეგ საშუალებებში:

გთხოვთ მონიშნეთ გრაფა!

- საინფორმაციო დაფა სკოლის შენობაში;
- წლიური ანგარიში/სკოლის ალბომი/ბროშურები და სხვა;
- პრესა (ბეჭდური და ელექტრონული ვერსია)
- World Wide Web (ინტერნეტი) სკოლის ვებ-გვერდზე www.europeanschool.ge, Facebook, Instagram და სკოლის სხვა სოციალური ქსელები

გთხოვთ მონიშნეთ გრაფა!

- ფოტოები

ვიდეოები/აუდიო მასალა

სხვა პერსონალური მონაცემები (გვარი, სახელი და სხვა)

ფოტოსურათების გამოქვეყნების უფლებების მინიჭება არ ანაზღაურდება და ასევე მოიცავს რედაქტირების უფლებებს იმ პირობით, რომ რედაქტირება არ გამოიწვევს დამახინჯებას.

თუ თქვენ ან თქვენ მიერ წარმოდგენილ პირს სურს ფოტო/ვიდეო/აუდიო მასალის ამოღება სკოლის ვებ-გვერდიდან, ბროშურიდან და ა.შ. ნებისმიერი დროს წერილობით უნდა მიმართოთ სკოლას.

თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე, მომავალში უარი განაცხადოთ გაცემულ წინამდებარე თანხმობაზე. ასეთი უარი შესაძლოა ეხებოდეს პერსონალური მონაცემების მხოლოდ ნაწილს. თანხმობის გაუქმება გავლენას ვერ მოახდენს იმ შემთხვევაზე, როცა მონაცემების დამუშავება ხდება სხვა კანონიერი საფუძვლით. ბეჭდური მასალის შემთხვევაში თანხმობა არ დაექვემდებარება გაუქმებას დაბეჭდვის ბრძანების გაცემის შემდეგ. გაუქმების შემთხვევაში მოთხოვნილი მონაცემები მომავალში აღარ იქნება გამოყენებული შესაბამისი მიზნებისთვის და დაუყოვნებლივ ამოიშლება ინტერნეტიდან (შესაძლებლობის ფარგლებში).

თანხმობა გაიცემა ნებაყოფლობით. არანაირი პრობლემა არ წარმოიშობა თქვენს მიერ თანხმობის არმიცემის ან მისი გაუქმების შედეგად.

დამატებით განვიმარტავთ, რომ თქვენ გაქვთ წინამდებარე თანხმობის საფუძველზე დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, ასევე უფლება მიიღოთ ინფორმაცია დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოთ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება, უფლება. ასევე უფლება გაქვთ წარადგინოთ საჩივარი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

ასევე, გაცნობებთ, რომ სკოლის შენობაში (ასევე შენობის გარე პერიმეტრზე, შესასვლელებში, დერეფნებში და სამუშაო ოთახებში), ეზოში და სათამაშო მოედნებზე სკოლის მიერ ხორციელდება ვიდეოთვალთვალი მხოლოდ სკოლის საკუთრების დაცვის, სკოლის მოსწავლეთა/აღსაზრდელთა უსაფრთხოების და მათი მავნე ზეგავლენისგან დაცვის, ასევე გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ხორციელდება შესაბამის სივრცეზე პირდაპირი დაკვირვება და ვიდეოჩანაწერების (მათ შორის აუდიოჩანაწერების) გაკეთება/შენახვა, მათ შორის მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაციის შენახვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის სრული დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, ასევე სკოლიდან მისი გამოთხოვის საფუძველზე.

ამ დოკუმენტს ხელს ვაწერ(თ) მასში მითითებული პირების მონაცემების შეგროვებაზე, დამუშავებაზე და გამოყენებაზე თანხმობის ნიშნად.

მოსწავლე: ----- (სახელი, გვარი სრულად)
პირადი N/პასპორტის N: -----

მოსწავლის ხელმოწერა (14 წლის ზევით): -----

მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი: ----- (სახელი, გვარი
სრულად)

პირადი N/პასპორტის N: -----

ხელმოწერა: -----

ხელმოწერის თარიღი: -----, -----, 20----- წ.

თანხმობის/ინფორმირების დასტური
პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის თაობაზე

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით გამოვხატავ თანხმობას, შპს "ევროპულმა სკოლამ" (შემდგომში - სკოლა), კანონმდებლობისა და სკოლის რეგულაციების შესაბამისად, დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები, რეკრუტირების ან დასაქმების პერიოდში, კერძოდ: ბიოგრაფიული ინფორმაცია; საიდენტიფიკაციო ინფორმაცია; განათლების შესახებ მონაცემები; საკონტაქტო ინფორმაცია; ნასამართლეობის და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები (მაგ. წარმოდგენილი სამედიცინო ცნობა); ფოტოსურათი; ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ; ინფორმაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ; ინფორმაცია ანგარიშსწორების უწყისის, მათ შორის ხელფასის შესახებ; ინფორმაცია საქმიანობის შესახებ, მათ შორის მენეჯმენტის საზომი მაჩვენებლები, შეფასებები, კომენტარები; სკოლის შენობაში შესვლის / გამოსვლის შესახებ მონაცემები; განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები და ჩემ მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მითითებული/ჩემ მიერ გაცემული სხვა პერსონალური მონაცემები.

ასევე გამოვხატავ თანხმობას, სკოლამ, შემდგომი დამუშავების მიზნით, ნებისმიერი საჯარო და კერძო დაწესებულებიდან, ფიზიკური პირებისგან გამოითხოვოს ჩემი პერსონალური მონაცემები, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები, რომელთა დამუშავება აუცილებელია სკოლის მიერ მისთვის დაკისრებული ვალდებულებების/სკოლის ფუნქციების შესასრულებლად.

სკოლას ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემების დამუშავება შეუძლია შეუზღუდავად, მასთან სახელშეკრულებო და სხვა ფორმით ურთიერთობის არსებობის პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი საკითხის განხილვის/გადაწყვეტის მიზნით.

1. ზემოაღნიშნული პერსონალური მონაცემები შესაძლოა გადაეცეს მესამე პირებს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში (მაგ.: თანამშრომლის დაზღვევის, ხელფასის, პენსიების და სხვა დახმარებების და გადასახადების მართვის მიზნით, მობილური სერვისის პროვაიდერებისთვის და სხვა).
2. ყოფილი თანამშრომლების პერსონალური მონაცემები მუშავდება/ინახება 70 წლის ვადით.
3. პოტენციური თანამშრომლების/დასაქმების კანდიდატების პერსონალური მონაცემები მუშავდება / ინახება არაუმეტეს 1 წლის ვადისა.
4. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების და მთლიანობის დაცვას ენიჭება მაღალი პრიორიტეტი და სკოლა ატარებს შესაბამის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ ღონისძიებებს პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით. მონაცემების უსაფრთხოებისთვის, სკოლა აკონტროლებს წვდომას შენობებზე, ოთახებზე, კაბინეტებზე 24 საათის განმავლობაში, სადაც მონაცემები, კომპიუტერები, მედია ან ნაბეჭდი მასალები ინახება. პერსონალური მონაცემები ინახება უფლებამოსილი პირის კომპიუტერულ სისტემაში, რომელზე წვდომაც შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პაროლის გამოყენებით. სერვერები დაცულია ძაბვის მოვარდნის დაცვის სისტემებით სახაზო-ინტერაქტიული უწყვეტი კვების წყაროს (UPS) სისტემებით. მომხმარებლებს აქვთ შეზღუდული წვდომა მონაცემთა ფაილებზე. სკოლის ICT აკონტროლებს წვდომას ფაილებზე, საქაღალდეებზე ან მთლიანად მყარი დისკების დაშიფვრას.
5. პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება - სკოლა აწარმოებს თანამშრომლის ფოტოსურათების მონაცემთა ბაზას.

თუ თქვენ თანახმა ხართ ქვემოთმოცემული პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებაზე, გთხოვთ მონიშნოთ შესაბამისი გრაფა:

თუ გსურთ თქვენი ფოტოსურათი გამოქვეყნდეს სკოლის ვებ-გვერდზე: www.europeanschool.ge, ან სხვა სოციალურ ქსელებში

გთხოვთ მონიშნეთ გრაფა!

ფოტოსურათი

ბიოგრაფიული მონაცემები

თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს, განმარტების გარეშე, მომავალში უარი განაცხადოთ გაცემულ წინამდებარე თანხმობაზე. ასეთი უარი შესაძლოა ეხებოდეს პერსონალური მონაცემების მხოლოდ ნაწილს. თანხმობის გაუქმება გავლენას ვერ მოახდენს იმ შემთხვევაზე, როცა მონაცემების დამუშავება ხდება სხვა კანონიერი საფუძვლით.

თანხმობა გაიცემა ნებაყოფლობით. არანაირი პრობლემა არ წარმოიშობა თქვენს მიერ თანხმობის არმიცემის ან მისი გაუქმების შედეგად.

დამატებით განგიმარტავთ, რომ თქვენ გაქვთ წინამდებარე თანხმობის საფუძველზე დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, ასევე უფლება მიიღოთ ინფორმაცია დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოთ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება, უფლება. ასევე უფლება გაქვთ წარადგინოთ საჩივარი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში.

ასევე, გაცნობებთ, რომ სკოლის შენობაში (ასევე შენობის გარე პერიმეტრზე, შესასვლელებში, დერეფნებში და სამუშაო ოთახებში), ეზოში და სათამაშო მოედნებზე სკოლის მიერ ხორციელდება ვიდეოთვალთვალი მხოლოდ სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების უსაფრთხოებისა და სკოლის საკუთრების დაცვის, სკოლის მოსწავლეთა/აღსაზრდელთა უსაფრთხოების და მათი მავნე ზეგავლენისგან დაცვის, ასევე გამოცდის/ტესტირების მიზნებისათვის. ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით ხორციელდება შესაბამის სივრცეზე პირდაპირი დაკვირვება და ვიდეოჩანაწერების (მათ შორის აუდიოჩანაწერების) გაკეთება/შენახვა, მათ შორის მონაცემთა დამუშავების თარიღის, ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაციის შენახვა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის სრული დოკუმენტი ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, ასევე სკოლიდან მისი გამოთხოვის საფუძველზე.

ამ დოკუმენტს ხელს ვაწერ ჩემი პერსონალური მონაცემების შეგროვებაზე, დამუშავებაზე და გამოყენებაზე თანხმობის ნიშნად.

დასაქმებული: ----- (სახელი, გვარი სრულად)

პირადი N/პასპორტის N: -----

ხელმოწერა: -----


ხელმოწერის თარიღი: -----, 20----- წ.

პერსონალური მონაცემების დამუშავების დარღვევის (შემთხვევის) ანგარიშგების ფორმა

პირის სახელი და გვარი, რომელმაც განაცხადა შემთხვევის შესახებ	
შემთხვევის თარიღი და დრო	
შემთხვევის დეტალები	
წარმოადგენს შემთხვევა მონაცემთა სუბიექტის უფლებების/ თავისუფლებების დარღვევის მაღალ რისკს?	
დიახ	
არა	
გთხოვთ დაასაბუთოთ	
კონსულტაციის საჭიროება	
დიახ	
არა	
კონსულტანტის სახელი, გვარი და პოზიცია	
რას ეხებოდა კონსულტაცია?	
მიღებული გადაწყვეტილება	
საჭიროა სახელმწიფო ინსპექტორის ინფორმირება?	
დიახ	
არა	
თანამშრომლის ხელმოწერა	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი	



Personal Data Protection Policy



Review Frequency: Annual
Prepared by: Legal Devision
Policy written in: 2019, October
Last reviewed: 2022, May
Last reviewed by: Legal Devision

Sophio Bazadze
Director



